INTERNATIONAL MONETARY FUND
EXTERNAL RELATIONS DEPARTMENT

<u>თარგმანი</u>

პრეს რელიზი No. 09/406
გავრცელდეს დაუყოვნებლივ
13 ნოემბერი, 2009

საერთაშორისო სავალუტო ფონდი
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი 20431

სსფ-ს მისიის დონეზე მიღწეულია შეთანხმება ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამაზე 2010 წლისთვის, ამჟამად არსებული საკრედიტო ხაზის (Stand-By Arrangement) ფარგლებში

ამა წლის 27 ოქტომბრიდან - 11 ნოემბრამდე თბილისში იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, ბატონი ედვარდ გარდნერის ხელმძღვანელობით. მისიის მიზანი იყო ქვეყანაში სსფ-ს პროგრამის მსვლელობის მოთხე მიმოხილვა. სსფ-ს მისია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები შეთანხმდნენ 2010 წლის ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამაზე. სსფ-ს პროგრამა 2008 წლის 15 სექტემბერს დაიწყო (იხილეთ Press Release No. 08/208). 2009 წლის 6 აგვისტოს ამ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ოდენობა გაიზარდა 747 მილიონი ესდიარ-მდე (SDR) და პროგრამის ვადა გაგრძელდა 2011 წლის 14 ივნისამდე. (იხილეთ Press Release No. 09/277)

მისიის დასასრულს, ბატონმა გარდნერმა შემდეგი განცხადება გააკეთა: "მისიამ მიაღწია შეთანხმებას საქართველოს მთავრობასთან ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამაზე, რომლის განხორციელება მოხდება 2010 წელს. სსფ-ს ხელმძღვანელობას და აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მხრიდან ამ პროგრამის დადებითი შეფასების შემთხვევაში, ამა წლის დეკემბერში საქართველოსთვის გამოყოფილი იქნება 47.3 მილიონი ესდიარ-ი (SDR) (დაახლოებით 75 მილიონი დოლარი).

"არსებობს პოზიტიური ნიშნები, რომელებიც ადასტურებს, რომ ხდება ქვეყნის ეკონომიკური გამოჯანმრთელება და ჩვენ დადებით ეკონომიკურ ზრდას უკვე 2010 წლიდან ველოდებით. თუმცა, ქვეყნის გარეთ ეკონომიკური გაუმჯობესება მხოლოდ მცირედით არის ნავარაუდევი. ქვეყნის ეკონომიკური გამოჯანმრთელება დიდად მგრძნობიარეა გარეშე ტენდენციების მიმართ. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის 2010 წლის ეკონომიკური პროგრამა ემსახურება ორ მიზანს: ეკონომიკური აღმავლობის ტენდენციის შენარჩუნებას და ფისკალური და საგარეო/სავაჭრო პოზიციების დაბალანსებას მდგრად დონეზე, ეკონომიკური პროგრამა ითავალისწინებს ფისკალური დეფიციტის შემცირებას და სტრუქტურული რეფორმების გაგრძელებას, რაც გაზრდის მთავრობის ეფექტურობას და ქვეყნის ეკონომიკას კონკურენტუნარიანს გახდის."

"მაშინ როდესაც კერძო კაპიტალის შემოდინება ფერხდება, სსფ-ს ფინანსები მიმართული იქნება საგარეო სავაჭო სალდოს დასაბალანსებლად. მთლიანობაში, სსფ-ს პროგრამის მთავრი მიზანი არის საქართველოს ეკონომიკისთვის დროებითი ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენა, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკის კორექტირებას და ბაზრების და ინვესტორების რწმენის აღდგენას."